საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
**კონსერვატორია**
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000004654435620

№ 02-127-R

21 / ივლისი / 2020 წ.

# ბრძანება

**„კარანტინში გადაყვანილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის სახელმწიფო გამოცდების გადავადების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 29 ივნისის N02-118-R ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, სტუდენტ მარიამ კუპრეიშვილის განცხადების და სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. „კარანტინში გადაყვანილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის სახელმწიფო გამოცდების გადავადების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 29 ივნისის N02-118-R ბრძანებაში პირველი და მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ექიმის დანიშნულებით კარანტინში (თვითიზოლაცია) გადაყვანილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის სახელმწიფო გამოცდები გადავადდეს 23 ივლისის ჩათვლით.

2.საკონცერტმაისტერო დაოსატების კომისიაში ცირა ქამუშაძე /ასოც.პროფ./ შეიცვალოს ირინა აივაზოვათი /ასისტ.პროფ./; კამერული ანსამბლის კომისიაში ოთარ ჩუბინიშვილი /პროფ./ შეიცვალოს მედეა ალთუნაშვილით /ასოც.პროფ./.

3. ბრძანება გაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, სასწავლო დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიისვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე